საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/58

ქ.თბილისი

"11" დეკემბერი 2017 წ.

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრისა და ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 17 იანვრის N6/3 ბრძანების საფუძველზე განხორციელებული ინვენტარიზაციის 2017 წლის 10 ნოემბრის აქტის შესაბამისად მუშა მდგომარეობიდან გამოსული ძირითადი საშუალებების ჩამოწერისა და განადგურების თაობაზე

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში- კომისია) მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრისა და ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ" კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 17 იანვრის N6/3 ბრძანების საფუძველზე განხორციელებული ინვენტარიზაციის 2017 წლის 10 ნოემბრის აქტის შესაბამისად, იმ ძირითადი საშუალებების ჩამოწერისა და განადგურების მიზნით, რომლებიც გამოსულია მუშა მდგომარეობიდან და აღარ ექვემდებარება აღდგენას, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ვ. აბაშიძე - კომისიის წევრი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) ნ. დევდარიანი - კომისიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი (კომისიის წევრი);

გ) ა. ღლონტი - კომისიის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი (კომისიის წევრი);

დ) რ. მორგოშია - კომისიის ადმინისტრაციის სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსი (კომისიის წევრი);

ე) ნ.ასპანიძე - კომისიის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის მონიტორინგის ჯგუფის უფროსი (კომისიის წევრი).

2. კომისიამ 2017 წლის 15 დეკემბრამდე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები ინვენტარიზაციის აქტის შესაბამისად იმ ძირითადი საშუალებების ჩამოწერისა და განადგურების მიზნით, რომლებიც გამოსულია მუშა მდგომარეობიდან და აღარ ექვემდებარება აღდგენას.

3. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) ერთი თვის ვადაში.

5. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ი. ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე

კახი ბექაური